საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 7

ქ. თბილისი 3 ივლისი, 2019 წელი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, გოგიაშვილი ლიანა, ნადარაია ელიზბარ, პაპავა გივი, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ჩიტაშვილი მარინე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

**დღის წესრიგი:**

1. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი" დოქტორანტ **გულიკო კაჟაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
3. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტ **სოფიკო ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია" დოქტორანტ **ეკა პაატაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
5. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტ **მარიამ ახვლედიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის **ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის დამტკიცება;**
7. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის **ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის დამტკიცება.**
8. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ნანა ტოხვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ფარზინ ღობადიღოკალაეიმის** სადისერტაციო

ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
11. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია“ დოქტორანტ **ქეთევან ცხვარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს:** დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გულიკო კაჟაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს:** დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გულიკო კაჟაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**
ა) ნუნუ კვანტალიანი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ბ) გიორგი ცერცვაძე - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
გ) თამარ ზამბახიძე - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
დ) ვალერი ხრუსტალი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ე) ილონა გაგუა - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ვ) თამარ ლაკერბაია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;
ზ) ბესარიონ ზოიძე - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა გაითვალისწინა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წინა სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაცია და შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ახალი შემადგენლობა.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" (ქვედარგი - სომხური ფილოლოგია) დოქტორანტ **ხათუნა გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

**სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:**

ა) დალი ჩიტუნაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

ბ) ანა ხარანაული - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

გ) დარეჯან თვალთვაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი;

დ) გიორგი ჭეიშვილი - ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

ე) თინათინ ევდოშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ვ) თამარ ოთხმეზური - ფილოლოგიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ზ) ირმა ყარაულაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა" დოქტორანტის **სოფიკო ლილუაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის გიორგი დურგლიშვილის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის - „დერმატოლოგიური ცხოვრების ხარისხის ინდექსი და პრობლემის დაძლევის სტრატეგია ფსორიაზით დაავადებულ პირებში" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურების მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ფსორიაზი არის ქრონიკული მიმდინარეობის, ანთებითი ხასიათის ფსიქო-დერმატოლოგიური დაავადება. ფსიქოლოგიური ფაქტორები იწვევენ ან/და ამწვავებენ ფსორიაზის დროს გამონაყარს. დაავადების გამწვავება განაპირობებს ნერვული სტრესის არსებობას და აუარესებს პაციენტთა ცხოვრების ხარისხს. მან აღნიშნა, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა კავშირი ამ ცვლადებს შორის და შეემუშავებინა მეთოდოლოგია, რომლის დახმარებითაც მარტივად შეძლებდნენ პაციენტთა იმ ჯგუფის აღმოჩენას, რომელთაც ესაჭიროებათ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. გ. დურგლიშვილმა საბჭოს მოახსენა კვლევის შედეგები: არსებობს მჭიდრო კორელაცია ცხოვრების ხარისხის ინდექსსა და პრობლემის დაძლევის სტრატეგიას შორის, ხოლო მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შედეგად შემუშავებული იქნა ფორმულა, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს იმ პაციენტთა დეტექცია, რომელთაც ესაჭიროებათ ფსიქოლოგიური დახმარება. ნაშრომი შეფასდა 94 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი - თინათინ ქიტუაშვილი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და აქტიური სამეცნიერო მოღვაწეობით, რაც აისახა სადოქტორო ნაშრომზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მათ შორის პოლონურ ჟურნალში. ნაშრომში ხაზგასმულია კავშირი ორ ძირითად კომპონენტს შორის როგორიცაა, ცხოვრების ხარისხის ინდექსი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

**აზრი გამოთქვა:** ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა, თუ რა კომპონენტებს მოიცავდა ეს ფორმულა და იყო თუ არა ეს მათემატიკური ფორმულა?

**მოისმინეს:** გ.დურგლიშვილის ინფორმაცია, რომ ფორმულა შედგებოდა მრავალი ცვლადისგან და ის ემყარებოდა მათემატიკურ გამოთვლას.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება სოფიკო ლილუაშვილისთვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს**: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ დოქტორანტ **ეკა პაატაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის ნინო მირზიკაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „რუტინული იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება საქართველოში: ინსტიტუციური ინტერვენციები და რეგულირება“ - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მოახსენა დოქტორანტის მოღვაწეობის შესახებ ჯანდაცის სისტემაში და მის მაღალ პროფესიონალიზმზე; ისაუბრა თემის აქტუალობის შესახებ - დოქტორანმა შეძლო უშუალოდ ინტერვენციის გზების შემოთავაზება; კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული რეგიონის სხვა ქვეყნებში იმუნიზაციის სისტემის გაუმჯობესების ღონისძებების გამოსავლენად. ასევე, კვლევის ზოგადი მიგნებები შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოყენებული საერთაშორისო პრაქტიკაში იმუნიზაციის სისტემური ცვლილებების ადვოკატირებისათვის. სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა - 98 ქულით.
**აზრი გამოთქვა:** ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა, თუ რატომ არ არის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები ასახული თვით ნაშრომში.
**მოისმინეს:** ნინო მირზიკაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტ ეკა პაატაშვილს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, მათგან მაღალრეიტინგულ ჟურნალებში და ნაშრომთა სია ცალკე ერთვის დოკუმენტაციას.
**კენჭისყრა:**ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს**: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ეკა პაატაშვილისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტის მარიამ ახვლედიანის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის თსუ ასოც. პროფესორის ნატალია მანჯავიძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი მეტად აქტუალურია და საყურადღებო ჯანდაცვის თვალსაზრისით, რადგან საკვლევი თემა ეხება სასმელი წყლის გაჯერების საკითხს სხვადასხვა მინერალებით.

**აზრი გამოთქვა:** ალექსანდრე შენგელაია დაინტერესდა კვლევის სამეცნიერო სიახლით.

**მოისმინეს:** ნ. მანჯავიძემ მოახსენა კვლევის სამეცნიერო სიახლის შესახებ, რომ პირველად იქნა გამოკვლეული თბილისის 12-15 წლის სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტში კარიესული დაავადების გავრცელება და ინტენსიურობა სასმელი წყლის შემადგენლობის მიხედვით განსხვავებულ რაიონებში; პირველად იქნა დადგენილი სასმელ წყალში არსებული ქიმიურ ელემენტთა ურთიერთკავშირი კარიესული დაავადების გავრცელებასა და ინტენსიურობას შორის; პირველად განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასმელ წყალში არსებული ფტორის კონცენტრაციასა და კარიესულ დაავადებას შორის; პირველად განისაზღვრა კორელაციური კავშირი სასმელ წყალში არსებული კალციუმის კონცენტრაციასა და კარიესულ დაავადებას შორის. ნ. მანჯავიძემ აღნიშნა, რომ შედეგები ხელს შეუწყობს შემუშავდეს და დაინერგოს პრევენციული ღონისძიებები მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელთაც მიეწოდებათ ფტორისა და კალციუმის განსაკუთრებით დაბალი კონცენტრაციის სასმელი წყალი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ თავი შეიკავა მხოლოდ ალექსანდრე შენგელაიამ, ხოლო დანარჩენი წევრები - მომხრეები.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება მარიამ ახვლედიანისთვის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის **ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.** მან აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრება ფაკულტეტის წარმომადგენელი და შესაბამისად, სასურველია საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისთვის.

**აზრი გამოთქვა:** ი. ანანიაშვილი დაინტერესდა, იყო თუ არა ფაკულტეტი ინფორმირებული აღნიშნული სხდომის გამართვის თაობაზე.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსმა დალი კანდელაკმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტი ინფორმირებული იყო და მათ გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენელთან, მანანა ლობჟანიძესთან გაგზავნილი წერილის შინაარსი, რითაც დასტურდებოდა მათი გამოცხადების ვალდებულება სხდომაზე 3 ივლისს 16:30 საათზე.

**კენჭისყრა:**ხმის მიცემის დროს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე არ დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია. საკითხი განსახილველად გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

**მოისმინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა** ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის **ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.**

**აზრი გამოთქვა:** ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად მიაჩნია დისერტაციაში გამოქვეყნებული შრომების ნუსხის არსებობა. ასევე უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები სხვა გამოცემებში დაბეჭდილი ნაშრომებისგან. შესაბამისად, აუცილებლად მიაჩნია ინსტრუქციაში აღნიშნულ ცვლილებაზე ფაკულტეტისთვის რეკომენდაციის მიცემა.

**აზრი გამოთქვა:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა, რომ სასურველია პირველ რიგში კენჭი ეყაროს საკითხს რეკომენდაციის მიცემის თაობაზე, ხოლო შემდეგ - ინსტრუქციის წარმოდგენილი სახით დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია, რათა ფაკულტეტს გაეწიოს რეკომენდაცია ინსტრუქციაში დამატების თაობაზე. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ თავი შეიკავა - მ. ჩიტაშვილმა და ქ. ხუციშვილმა; დანარჩენი წევრები - მომხრე.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია, რათა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს**: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება" დოქტორანტ **მაია მანჩხაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის სალომე დუნდუას ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო ვერცერთი ქართველი რეცენზენტი (გ. გოგსაძე და ზ. აბაშიძე). ნაშრომი შეფასდა 80 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** ლ. გოგიაშვილი დაინტერესდა, ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით რამდენად არის შესაძლებელი დაცვაზე რეცენზენტების გამოუცხადებლობა.

**მოისმინეს:** ს. დუნდუამ მოახსენა, რომ ფაკულტეტის დებულებაში აღნიშნული საკითხის შესახებ ჩანაწერი არ არსებობს.

**აზრი გამოთქვა:** ი. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტითაც არაა დარეგულირებული. სასურველია, გაჩნდეს ჩანაწერი. ამ ეტაპზე რეცენზენტების გამოუცხადებლობა პროცედურის დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ დარღვეულია აკადემიური ეთიკა; ერთი რეცენზენტი მაინც უნდა დასწრებოდა სხდომას.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ის თავს იკავებს ხმის მიცემისგან, ვინაიდან დისერტაციაში არაა მითითებული კვლევის საკითხი.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ თავი შეიკავა მ. ჩიტაშვილმა, დანარჩენი წევრები - მომხრეები.
**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება მაია მანჩხაშვილისთვის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ნანა ტოხვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის ანა ჩიქოვანის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს სამი პუბლიკაცია, მათ შორის, ერთი რეფერირებად ჟურნალში „სპეკალი". ნაშრომი შეფასდა 95 ქულით.
**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავამ აღნიშნა, რომ თემის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო ერთერთი ნაშრომის საერთაშორისო გამოცემაში გამოქვეყნება.
**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება ნანა ტოხვაძისთვის ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ფარზინ ღობადიღადიკოლაეის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის რუსუდან დოლიძის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვა ჩატარდა ინგლისურ ენაზე. ნაშრომისათვის დოქტორანტმა წყაროები მოიძია აშშ-ში, სპარსეთში, ევროპის სხვადასხვა უნივერისიტეტების ბიბლიოთეკებში. ნაშრომი შეფასდა 93 ქულით.
**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა თუ რა ენაზე გაიარა დოქტორანტმა სასწავლო კურსები, რადგან პროგრამა ქართულენოვანია.
**მოისმინეს:** რ. დოლიძემ განმარტა, პროგრამა ქართულენოვანია, მაგრამ ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტები სასწავლო კურსებს ინგლისურ ენაზე გადიან.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ფარზინ ღობადიღადიკოლაეის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

**მოისმინეს:** ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოსოფია" დოქტორანტ **ქეთევან ცხვარიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მოისმინეს:** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორის ვალერიან რამიშვილის ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ნაშრომი შეფასდა 93 ქულით.

**აზრი გამოთქვა:** თ. ჯობავა დაინტერესდა გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.

**მოისმინეს:** ვ. რამიშვილმა განმარტა, რომ დოქტორანტს გამოქვეყნებული აქვს 5 პუბლიკაცია, მათ შორის ორი კონფერენციის აბსტრაქტია, სამი - სამეცნიერო სტატია.

**აზრი გამოთქვა:** მ. ჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ ის თავს იკავებს ხმის მიცემისგან, ვინაიდან დისერტაციაში არაა მითითებული კვლევის საკითხი.

**კენჭისყრა:** ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ თავი შეიკავა მ. ჩიტაშვილმა, დანარჩენი წევრები - მომხრეები.

**დაადგინეს:** საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ქეთევან ცხვარიაშვილისათვის** ფილოსოფიის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი